საქართველოს სერტიფიცირებული გიდების ასოციაცია
კრწანისის 16/6, თბილისი 0114
ტელ: (+995 32) 2424677
ელ.ფოსტა:info@certified-guides.ge

2020 წლის 4 მაისი

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

პატივცემულო ქალბატონო ეკატერინე,

ჩვენს ასოციაციას ხშირად მიმართავენ შემოსავლის გარეშე დარჩენილი ტურისტული გიდები, თხოვნით, დავეხმაროთ COVID-19 ვირუსული პანდემიით შექმნილი საგანგებო ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული დახმარების მიღებაში. ამასთან, კერძო პირები და ორგანიზაციები ადგენენ ე.წ. გიდების სიებს თითქოსდა მთავრობისთვის წარსადგენად.

მოგმართავთ თხოვნით, დაგვეხმაროთ, დავადგინოთ გიდების დახმარების გარშემო არსებული მდგომარეობა და მივიღოთ კომპეტენტური პასუხი შემდეგ კითხვებზე:

1. რას ითვალისწინებს სახელმწიფო დახმარების პროგრამაში ტურისტული გიდებისთვის? როგორ არის ასახული მათი დახმარება კომპენსაციის გაწევის ინსტრუქციაში? რომელი სახის დახმარება იქნება მათთვის გათვალისწინებული: ერთჯერადი 300 ლარი თუ 6 თვიან პერიოდზე გათვალისწინებული 1200 ლარი? ასევე რა ვადები იქნება განსაზღვრული დახმარების სუბიექტების დასადგენად და როდის შეძლებენ ისინი აღნიშნული დახმარების მიღებას?
2. როგორ მოხდება გიდის პროფესიის მოქალაქეთა, როგორც დახმარების ადრესატის დადგენა სამინისტროს ან მისი შესაბამისი სამსახურის მიერ? საჭირო გახდება თუ არა დადგენისას კოორდინაცია შესაბამის დარგობრივ სახელმწიფო უწყებებთან (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია)?
3. შეიძლება თუ არა, რომ ასოციაციამ გიდებს ცნობით დაუდასტუროს მათი პროფესიული საქმიანობა? დაეხმარება თუ არა ასეთი დოკუმენტი მათ დახმარების მიღებაში? ზოგადად, გათვალისწინებული არის თუ არა პროფესიული ასოციაციების მონაწილეობა დახმარების პროგრამების განხორციელების პროცესში და რა სახით იქნება შესაძლებელი მათი მონაწილეობა გიდებისთვის დახმარების გაწევის მაქსიმალურად გასაადვილებლად?

გამოვთქვამთ სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობის იმედს აღნიშნულ საკითხზე. გვჯერა, რომ სახელმწიფოს მიერ გათვალისწინებული ფინანსური დახმარების პროგრამაში მაქსიმალურად მოხდება გიდების გათვალისწინება.

პატივიცემით,

გიორგი დარციმელია
თავმჯდომარე